დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 4 დეკემბერი**

დისციპლინური საქმე №144/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 6 ნოემბრის №144 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის №468/144-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ:

1.1. მოსამართლე -- -- საქმის განხილვის პროცესში დაარღვია მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპი დისკრიმინაციული ნიშნით. კერძოდ, საჩივრის ავტორის შეფასებით, იმის გამო, რომ მოპასუხე იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, მოსამართლე მას აძლევდა შესაძლებლობას ესაუბრა არარელევანტურ საკითხებზე, ხოლო მოსარჩელეს, რომელიც იყო მამაკაცი, არ ჰქონდა სიტყვის თქმის შესაძლებლობა;

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე, პირადი საკითხებიდან გამომდინარე, ჩქარობდა საქმის განხილვას და სასამართლო გადაწყვეტილება მიიღო შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის 15 ოქტომბერს, -- -- ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, რომლითაც ითხოვდა მის მიმართ 2024 წლის 13 ოქტომბერს გამოცემული შემაკავებელი ორდერის გაუქმებას.

2024 წლის 15 ოქტომბერს, -- -- ადმინისტრაციული სარჩელი განსახილველად გადაეცა -- საქალაქო

სასამართლოს მოსამართლეს -- --.

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2024 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით, -- -- სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი განსახილველად. ადმინისტრაციული სარჩელის განხილვის ფარგლებში სასამართლო სხდომა ჩატარდა 2024 წლის 23 ოქტომბერს.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2024 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, ხოლო 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/განაჩენის კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტებისა და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თუმცა, საჩივარში

მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. -- -- 2024 წლის 6 ნოემბრის №144 საჩივრის საფუძველზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, გადაწყვეტილების 1.2. პუნქტთან მიმართებაში.

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2024 წლის 6 ნოემბრის №144 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი